საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტიის.

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 5.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 400,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვ. [illegible]
4 „ 15 [illegible]
სამგლოვიარო განცხადება:
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონც.
4 „ 1 მ. —

№ 598 სამშაბათი, ოქტომბრის 6 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 400,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დახმარება გერმანეთის მუშებს

გერმანეთის მუშების მდგომარეობა კრიტიკულია. როგორც დეპეშები გადმოგვცემენ ბაზარი უკვე აღარ ღებულობს მარკას. მისი კურსის დაცემა ისე უსაზღვროა, როგორც გერმანეთის ბურჟუაზიის ვერაგობა და ს.-დემოკრატიის ღალატი.

გერმანეთის მუშების მდგომარეობას ართულებს, როგორც ქვეყნის ეკონომიური კატასტროფა, ისე პოლიტიკური კრიზისი და საგარეო ძალთა დაპირისპირება გერმანეთის საწინააღმდეგოდ.

გერმანეთი რურისა და საარის ოლქის გარეშე არ არის გერმანეთი, რომელსაც იცნობდა წინეთ მსოფლიო.

გერმანეთი შტრეზემანის არ არის, არც ვილჰელმის გერმანეთი.

ვილჰელმის გერმანეთი თუ ერთი მხრით ტირანული რეჟიმის, დესპოტიური წყობილების გერმანეთი იყო, ამავე დროს ეკონომიური ჯანსაღობის დოვლათის გერმანეთი მაინც იყო. მართალია ეს ეკონომიური სიძლიერე გერმანეთის მუშათა საკუთრება არ იყო, ისიც მართალია, რომ გერმანეთის მუშათა კლასი იმპერიალისტურ ომებში იყო გარეკილი, მაგრამ ობიექტიური პირობა, ეკონომიური გაძლიერება ქვეყნის მაინც ფაქტი იყო.

შტრეზემანის გერმანეთი კი არის სიმშილის სიცივის, ანარქიის, უწესრიგობის და სიკვდილის გერმანეთი.

ამ გერმანეთს ამაგრებს სოც.-დემოკრატიაც. მაგრამ გერმანეთის მუშათა-კლასი მარტოკა არ არის ბრძოლის ველზედ დარჩენილი. საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი ხალხი, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი მარტო სიტყვებით და დეკლარაციებით კი არ უთანაგრძნობენ გერმანეთის მშრომელ ხალხს, არამედ საქმით, მოქმედებით, რეალური დახმარებით.

საბჭოთა რესპუბლიკებში მიმდინარეობს გერმანეთის მუშებისათვის დახმარების შეკრება.

ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა აქტიურად ჩავებად დახმარების საქმეში, გავიღოთ ჩვენი წვლილი, შევაგროვოთ დახმარება, ხელი გაუწოდოთ გერმანეთის პროლეტარიატს გადამწყვეტი ბრძოლების პერიოდში.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ამით ვეხმარებით არა მარტო გერმანეთის მუშას, არამედ სოციალიზმის საქმეს, გერმანეთის კულტურას, გერმანეთის ერს.

დახმარება ფართოდ, დახმარება უხვად, ყველამ ვისაც რითი ძალუძს, რამდენიც შეუძლია — აი ჩვენი მოვალეობა გერმანეთის მუშათა კლასის მიმართ დღეს.

# შოთა რუსთაველის 750 წლის თავი.

შეგნებულ ქართველობას ძველი რეჟიმის დროსაც ჰსურდა შოთა რუსთველის სახელის უკვდავყოფა არა თუ ძეგლის დადგმით და შვიდას ორმოცდაათი წლის თავის აღვნიშვნით, არამედ შოთას დღის შემოღებითაც, რომ ყოველ წელიწადს აღენიშნა შესაფერი პატივისცემით. შოთას საზოგადოებაც კი დაარსდა **ვეფხის ტყაოსნის** შესასწავლად. საქართველოს გასაბჭოებრივების პირველ წელიწადს შოთას ძეგლის ერთგვარი წინასწარი სატფურებაც (ინავგურაცია) მოჰხდა დღესასწაულის საკადრისი სიტყვის წარმოთქმით, მაგრამ ძეგლი დღესაც არა სჩანს. რაც იყო, ყველაფერი საპნის ბუშტი, ყველაფერი ფუჭი კაკლის ჩხრიალი გამოდგა მისთვის, რომ ერთობ მოუმზადებელნი ვართ, რომ ჩვენი ხალხის შორეული მოამაგის ღვაწლი მოვიგონოთ ჩვენი კულტუროსნობა ჩვენი ცხვირის ძირს არ გასცილებია

თუ შოთას 750 წლის თავი ჯერაც არ გამართულა, ყველაზე უფრო ქართველ მწერალთა კავშირის ბრალია. ამის გასამართავად კი დღევანდელი გარემოება ერთობ ხელის შემწყობია. სახელმწიფო ოპერისა და დრამის სცენებზე პიესების დადგმის საქმეს განაგებს დახელოვნებული რეჟისორი კ. მარჯანიშვილი, რომელსაც უკვე განუზრახავს **ვეფხის ტყაოსნის** დადგმა განსცენიერებით ისე, როგორც შოთას უამბნია, რასაც თურმე სამი საღამო მოუნდება. ამას გარდა სახელმწიფო ოპერის დირექციას ლეო ფალიაშვილმა წარუდგინა **ვეფხის ტყაოსანი** ოპერა ოთხ მოქმედებად და ექვს სურათად. სახელოვნო კომისია, იმედია დაუყოვნებლივ განიხილავს ახალ სამუსიკო ნაწარმოებს და ამ სეზონშივე მოასმენინებს საზოგადოებას, რომელიც ავტორთან ერთად დაინტერესებულია. ოპერის ავტორი იმდროსვე საკრავ შეწყობის სპეციალისტიც არის, რაიც შესაძლებელ გაჰხდის ოპერის დადგმას. აი რა იშვიათი გარემოება უწყობს ხელს, რომ ნამდვილ კულტურულად გადახდილ იქმნეს დღესასწაული ქართველი ხალხის გენიისა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში დაჰნათის კაცობრიობას დაუცხრომელი ბრწყინვალებითა.

დიახ, ქართველ მწერალთა კავშირს ჰმართებს ვალის მოხდა წინაშე იმ კაცისა, ვინც ფეოდალიზმის დროს არ ივიწყებდა ჩაგრულთა ბედს და გადღებული ბატონების სამხილებლად ღაღად ჰყო

მიეც გლახაკთა საჭურჭლე,
ანთავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი
ობოლი, არასმქონები.

**პეტრე მირიანიშვილი.**

# დ ღ ი უ რ ი

**— რეიხსტაგმა მესამე კითხვის შემდეგ მიიღო კანონი მთავრობის უფლებების გაფართოების შესახებ.**

**— გერმანიის ქალაქებში უსურსათობის ნიადაგზე დიდი უწესოებანი ხდება.**

**— პრუსიის ლანდტაგი დათხოვნილია ნოემბრის გასვლამდე.**

**— ტიურინგიაში არსდება წითელი მთავრობა.**

**— ვოლინის სანაპიროზე პოლონელებმა მოჰკლეს რუსეთის ათასეულის სამხკომის მოადგილე.**

**— ბრესის რკინის გზის მატარებელს დაეცნენ პოლონელი ბანდიტები.**

**— ინგლისი მზად არის სეპარატიულად შეუთანხმდეს გერმანიას.**

**— საბერძნეთში გადადგა 4 მინისტრი.**

**— ვარშავაში აფეთქდა თოფის წამლის საწყობი.**

# ტელეგ-რამები

### „ზაკროსტას“ ცნობები 14 ოქტომბრიდან.

### გერმანიის ამბები.

მესამე კითხვის შემდეგ რეიხსტაგმა 316 ხმის უმრავლესობით მიიღო კანონი მთავრობის უფლებების გაფართოების შესახებ.

გერმანიის მთელ რიგ ქალაქში უსურსათობის ნიადაგზედ ხდება უწესოებანი, რომელთაც აქრობს პოლიცია.

პრუსიის ლანდტაგმა გამოიტანა დადგენილება ლანდტაგის დათხოვნის შესახებ ნოემბრის გასვლამდე.

რომში ჩასულ მიუნხენის ჟურნალისტს ლიუდიგეს ფაშისტურ პარტიისათვის უთხოვნია გიტლერისათვის დახმარების აღმოჩენა, თუ უკანასკნელი წავა ბერლინზედ. იგი ირწმუნებოდა, რომ გიტლერის მოქმედება ვნებას არ მოუტანს იტალეთს.

ვირტემბერგის სამხედრო მთავრობამ განკარგულება გასცა დაიშალოს პროლეტარული თავდაცვის ორგანიზაციები და დახურა პაციფისტური „ყოველკვირეული“.

მოლაპარაკების შემდეგ ცეიგნერმა მიაღწია მიზანს და საქსონიის სამოქალაქო კომისრად დაანიშვნინა სოც.-დემოკრატი მეიერი.

ოკუპაცია ქმნილ ოლქებში იზრდება უკმაყოფილება და სეპარატისტთა მოძრაობა.

ტიურინგიაში სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის მოხდა შეთანხმება. კომუნისტები მიიღებენ ფინანსთა და სახალხო მეურნეობის სამინისტროებს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ, ალბად პოლიციის, დეპარტამენტის დირექტორის ადგილს. პროგრამას საფუძვლად დაედვა საქსონიის მთავრობის დეკლარაცია. ახალი მთავრობა შესდგება 14-ში. ლანდტაგი გაიხსნება სამშაბათს.

საქსონიის მოსაზღვრე, ბრაუნშვეიგის 100-ზე მეტი ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტი მოითხოვს სოც.-დემოკრატებისაგან კომუნისტებთან შეთანხმებით ახალი მთავრობის დაარსებას.

პარასკევს ბერლინში შესდგა ფაბრიკა-ქარხნების რწმუნებულთა დიდი კრება. საქსონიის დეპუტატის რენერის მოხსენებით, მიღებულ იქმნა რეზოლიუცია საქსონიისა და ტიურინგიის მთავრობათათვის დახმარების აღმოჩენისა და პროლეტარიატის მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ.

„როსტას“ თანამშრომელთან საუბარში, ცეიგნერმა განაცხადა, რომ საქსონიის ახალი მთავრობა შეინარჩუნებს დემოკრატიული მმართველობას, რადგანაც საქსონია დამოკიდებულია უცხოეთის მრეწველობისაგან. სახელმწიფოებრივ აპარატის გაწმენდა ავტომატიურად მოხდება, რადგანაც რეაქციონური მოხელეები საბოტაჟს ეწევიან. გერმანიის შინაური და პოლიტიკური მდგომარეობა, ცეიგნერის აზრით, შერყეულია: სახელმწიფოში ბევრია უპუროდ დარჩენილი. მოსალოდნელია მდგომარეობის გამწვავება და მასიური შეტაკებანი.

კელნში, ლიუსენდორფში, ვისმანდენში ზოლინგენში და ფრანკ-ფურტში უსურსათობის ნიადაგზე დიდი მღელვარებაა. უმუშევრობა კატასტროფიულად იზრდება. რკინისა და ფოლადის სამრეწველოებმა შემოიღეს 30 საათის სამუშაო კვირა, ნაწილობრივად შეგნებულად და ნაწილობრივად საწარმოო კაპიტალის უქონლობისა და საწყობებში ფაბრიკატების დაგროვების გამო. სიძვირე მუშებში დიდ მღელვარებას იწვევს ბერლინსა, ლეიპციგსა, დიუსელდორფსა, კროიცნახსა და კელნში დაარბიეს სასურსათო დუქნები.

ცნობაა. ვითომც, სხვილი მრეწველობის წარმომადგენლებმა სტინესის მეთაურობით უარი სთქვეს საფრანგეთთან მოლაპარაკების გაგრძელებაზედ.

„დეილი ნიუზის“ ბერლინის კორესპონდენტის ცნობით, ინგლისის საელჩოს წარმომადგენელმა ბერლინში ინახულა გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტრო და აცნობა, რომ ინგლისის მთავრობა მზადაა სეპარატიულად შეუთანხმდეს მას ინგლისის მიერ ოკუპაცია ქმნის ოლქში მუშაობის განახლებაზე.

ინგლისის კომპარტია აგიტაციას ეწევა გერმანიის პროლეტარიატისათვის დასახმარებლად. გაზეთი „მუშათა ყოველკვირეული“ წინადადებას იძლევა დაარსდეს კომიტეტი „ხელები შორს გერმანიისაგან“ და გამოცხადდეს საერთო გაფიცვა, თუ ვინიცობაა მოკავშირეთა კაპიტალი ეცდება ომი გამოუცხადოს გერმანიის პროლეტარიატს.

რუსეთის მთელ რიგ ქალაქებიდან მოდის ცნობები, რომ მშრომელნი მზად არიან დაეხმარნენ გერმანიის პროლეტარიატს.

### ს. ს. რ. კ ცნობის გარშემო

**მოსკოვი.** 8 ოქტომბერს ვოლინის სანაპირო უბნის ჯარების ათასეულის სამხკომის მოადგილე ამხ. პერეცენშტეინმა, უბნის დათვალიერების დროს, შეუმჩნევლად გაიარა საზღვარი. უკან გამობრუნების დროს, ორმა პოლონელმა ჟანდარმმა მოსთხოვეს მას ცხენიდან ჩამოსვლა, წიინაალმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ თოფებით. როდესაც გერცენშტეინმა შეასრულა მოთხოვნილება ჟანდარმება სამჯერ დასცეს მას თოფი. მოსულ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელმა და პოლონეთის სადარაჯოს კომენდანტს გერცენშტეინი უგონოთა და გაცარცული დახვდათ. პოლონელებმა უარი სთქვეს დაჭრილის დაბრუნებაზედ. 9 ოქტომბერს გერცენშტეინი გადაიყვანეს ბუმსკში, სადაც იგი გარდაიცვალა ჭრილობისაგან. გვამის შესამოწმებლად რუსის ექიმის დაშვებაზედ და გვამის დაბრუნებაზედ პოლონელებმა უარი სთქვეს. იგი დაასაფლავეს პოლონეთის ტერიტორიაზედ.

**მოსკოვი.** პოლონეთის საზღვრიდან 25 ვერსის მანძილზედ, ბრესის რკინის გზის მატარებელს დაეცა პოლონეთიდან გადმოსული ბანდა. გაცარცულთა შორის არიან: ინგლისის დიპლომატიური კურიერი ბოსტონი, იტალეთის მისიის უფროსი წარმომადგენელი გალაცი და იტალეთის დიპლომატიური კურიერი მარიენტი, რომელთაც წაართვეს ფული და ბარგი. გაცარცვეს აგრეთვე პოლონეთის სამხედრო ატტაშე, პოლკოვნიკი ვერნერი, მაგრამ, რომ გაიგეს მისი ვინაობა დაუბრუნებინათ წართმეული. დიპლომატიურ ფოსტას ხელი არ ახლეს.

მარიენტის გადმოცემით, ბანდიტების მეთაური რუსის თეთრ-გვარდიელ აფიცერს ჰგვანდა. მატარებლის მოსამსახურეთაგან დაზარალდა მხოლოდ ორი.

**ხარბინი.** აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მდგომარეობასთან გასაცნობად პეკინიდან იგზავნებიან ინგლისისა, ამერიკისა და იაპონიის საელჩოების მდივნები. პეკინში ამ გარემოებას სთვლიან, როგორც ჩინეთისა და რუსეთის ინტერესთან საწინაალმდეგო ინტერვენციის ახალ ცდას.

**მოსკოვი.** ფინეთის საგრარო გაზეთი „მააკანსი“ დაჟინებით მოითხოვს რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობის გამორკვევას და მოითხოვს ფინეთისაგან რუსეთისადმი ზრდილობიან მოპყრობას.

**რიგა.** (ლატვია). ლატვიის ბირჟაზედ გაჩნდა რუსეთის ჩერვონეცი.

ლატვიის ბანკი იძლევა გარანტიებს ს. ს. რ. ა. მიერ ამერიკაში ნასყიდ ბამბაზედ.

## უ ც ხ ო ე თ ი

**ვენა.** მიუხედავად აჯანყების ჩაქრობისა, ბოლგარეთში მთავრობასა და გაფანტულ აჯანყებულთა ჯგუფებს შორის გრძელდება შეტაკებანი. მთავრობის ცნობანი გვაუწყებენ უმნიშვნელო ბრძოლებისა და სხვა და სხვა ადგილებში აჯანყების საბოლოო ჩასაქრობად რაზმების გაგზავნის შესახებ.

**რომი.** შაბათს საბერძნეთის პარლამენტში ხარჯების რეფორმის გარშემო მთავრობის პარტიასა და ოპოზიციონურ ფრაქციებს შორის მოხდა უთანხმოება, რის გამოც ოპოზიციამ დასტოვა სხდომა.

**პარიზი.** საბერძნეთში გადადგა 4 მინისტრი. პრემიერმა გონატასმა სთხოვა მათ დარჩნენ ადგილებზედ რამდენიმე დღეს, ვიდრე გამოცხადდეს დეკრეტი ახალი არჩევნების შესახებ.

**ლონდონი.** მომავალ კვირას ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენცია განიხილავს საკონტრიბუციო საკითხს.

**ბერლინი.** საფრანგეთის პრეზიდენტის დეკრეტით, საფრანგეთ-შვეიცარიას შორის საბაჟო ნეიტრალური ზონა ისპობა, და არსდება საბაჟო საზღვარი პოლიტიკურ საზღვრის ხაზზედ.

**ბერლინი.** ალბანეთის დამფუძნებელ კრების მოწვევა განზრახულია იანვარში.

**ვარშავა.** ზემო სილეზიაში გაფიცულთა დიდმა დემონსტრაციამ მოითხოვა გაფიცვის გამო დატუსაღებულ ვეჩორსკისა და პეტრაკის განთავისუფლება, რაც შესრულებული იქმნა.

**ვარშავა.** ზემო სილეზიაში შეჩერდა ყოველგვარი სამრეწველო, რკინის გზა და ტრამვაი. მუშებმა უარჰყვეს ხელფასის 130 პროც. გადიდების წინადადება. მთავრობა ეწინააღმდეგება მრეწველთა შემდეგ დათმობებს. გერმანიასა და პოლონეთს შორის რკინის გზის მიმოსვლა შესწყდა.

**ვარშავა.** 13 ოქტომბერს დილით ვარშავაში აფეთქდა თოფის წამლის საწყობი. აფეთქება საგრძნობი იყო მთელ ქალაქში და განაპირა ადგილებში. ასობით არის მკვდარი, დაჭრილი და დასახიჩრებული. მეათე პავილიონი დაინგრა. ქალაქში დიდი პანიკაა. დაზარალებულთა რიცხვი საბოლოოდ გამორკვეული არ არის.

### მუშათა მოძრაობა

**კოპენჰაგენი.** (დანია). სოც.-დემ. რაზმუსსენმა განაცხადა, რომ სოც.-დემოკრატიული პარტია მზადაა შეადგინოს მთავრობა და აიღოს ხელში ძალა-უფლება, თუ მომავალ წლის არჩევნები პარტიას საკმაო მანდატებს მისცემს.

შესაძლებელია სოც.-დემ. და რადიკალების კოალიცია.

**პარიზი.** შრომის გენერალურ ფედერაციის ფედერატიულმა კომიტეტმა დიდის უმრავლესობით მიიღო რეზოლიუცია, პროფმოძრაობის მთლიანობისა, ადგილობრივ პროფკავშირთა გაერთიანებისა და მათი გენერალურ ფედერაციისათვის დამორჩილების შესახებ. რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ მთლიანი ფრონტი შეიძლება შეიქმნეს მხოლოდ ამიენის პარტიის საფუძვლებზე,დ რომელიც საფუძველია საფრანგეთის სინდიკალისტების პროგრამისა. პოლიტიკურ პარტიების გავლენა უნდა აცილებულ იქმნეს სინდიკალურ კომისიების გაუქმებით.

კომიტეტი პროტესტს აცხადებს რეაქციისა და საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ რურში და იწონებს ამსტერდამის ინტერნაციონალის მემორანდუმს ერთა ლიგისადმი.

**ვენა.** რუმინეთის პროფკავშირთა ახალმა ცენტრალურმა საბჭომ, რომელიც ემხრობა ამსტერდამს, გამოსცა მოწოდება, რომლითაც წინადადებას აძლევს ყველა ამსტერდამის მომხრე წევრს, გამოვიდეს იმ პროფკავშირებიდან, სადაც უმრავლესობა კომუნისტებისა არის. იმ კავშირებს კი, რომლითაც უმრავლესობა ამსტერდამის მომხრე ჰყავთ, წინადადებას აძლევს გამორიცხონ კავშირიდან კომუნისტები.

მოწოდება წინადადებას აძლევს ამსტერდამის მომხრეთ, არ მიიღონ მონაწილეობა კომუნისტების მიერ მოწყობილ გაფიცვებში.

მეტრულტალისა და ტრანსილვანის ტყიანი რაიონების პროფკავშირებმა პროტესტი განაცხადეს ამსტერდამისათვის მიმხრობის გამო.

**პარიზი.** მიუხედავად ესპანეთის პროფკავშირების ფედერაციის გადაწყვეტილებისა. თავი შეეკავებინათ გამოსვლებისაგან, ბარსელონში მელითონეებმა და ტრანსპორტისა და საფეიქრო მუშათა პროფკავშირებმა, რომელნიც 60,000 მეტ წევრს აერთიანებენ, დაადგინეს, ებრძოლონ სამხედრო დიქტატურას ესპანეთში.

# ახალი ამბები

— **ანგარიშების გადაყვანა ჩერვონცებზე.** ალმასკომის პრეზიდიუმმა დადგინა: 1923 წლის ყოველგვარი ანგარიშები გადაყვანილი იქნეს ჩერვონცების ანგარიშზე ოპერაციის დროს კურსის მიხედვით, რისთვისაც ზედმეტ მუშაობისთვის დამტკიცდეს წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა 2250 საქონლის მანეთის ღირებულობით.

— **გერმანულ ტეხნიკუმის გადაკეთება.** განათლების სახ. კომისარიატთან არსებულმა საბჭომ დაადგინა გერმანული ტეხნიკუმი გადაკეთებული იქნეს სპეციალურ სამრეწველო—ეკონომიურ ტეხნიკუმად.

— **მასწავლებელთა შტატის გადიდება.** განზრახულია რესპუბლიკის ფარგლებში გადიდებული იქნეს მასწავლებელთა შტატი.

— **შრომის ბირჟა.** 13 ოქტომბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 284 უმუშ. ახლად ჩაეწერა 170 უმუშ. გაიგზავნა 39 უმუშევარი.

— **12 მილიარდი გერმანიის პროლეტარიატს.** შინაგან საქ. სახ. კომისარიატის ადგილკომის მიერ ბალ „ახალ წრეში" გამართულ საღამოზე გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ შემოსულია 12 მილიარდი მანეთი.

— **განათლების მუშაკთა სახლი.** განათლების მუშაკთა სახლში მეცადინეობა განახლდება დღეიდგან, 16 ოქტომბრიდგან. იმავე დღეს შესდგება მაჰმადიანთა სკოლის მასწავლებელთა კრება.

— **პედაგოგიური ტეხნიკუმი ბათომში.** ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ ნება დართო განათლების სახ. კომისარიატს ბათომში გახსნას პედაგოგიური ტეხნიკუმი.

— **აგრო-დახმარება სენაკის მაზრაში.** აგრო-დახმარების ქვე-განყოფილებამ სექტემბრის თვეში სენაკის მაზრაში დაამყნო სანერგებში 3000 ძირი ვაშლი და მსხალი.

— **ლექციები.** მიწ. მოქ. სახ. კომ. არსებულ აგრონომების ქვე-განყოფილებამ სოფლებში მოაწყონ ლექცია—საუბრები, შემოდგომაზე მიწის დამუშავების შესახებ.

— **მოხუცებულ მასწავლებელთა დაზღვევა.** განათლების კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა შრომის კომისარიატის წინაშე, რათა დავრდომილ და მოხუცებულ მასწავლებლებს მიეცეთ პენსია.

— **ფსიხიატრულ საავადმყოფოს შენობის შეკეთება.** ფსიხიატრულ საავადმყოფოს შენობების შეკეთება უკვე დაიწყეს და მოთავდება ახლო-ხანში.

— **მისალმება გერმანიის პროლეტარიატს.** მშენებელთა კავშირის ახალ გაზრდობამ მისალმების დეპეშა გაუგზავნა გერმანიის პროლეტარიატს და აღუთქვა მატერიალურად მორალური დახმარება თავგანწირულ ბრძოლაში.

— **საბჭოთა ყრილობები.** შორაპნის მაზრაში უკვე შესდგა სამზადისი მთელ მაზრაში საბჭოთა ყრილობების მოსაწვევად და ახალი არჩევნების მოსახდენათ

— **ახალი თეატრი.** დაბა აბაშაში ადგილობრივ ალმასკომის და მცხოვრებთა მხურვალე დახმარებით, შენდება ახალი თეატრი, რომელსაც დიდი კულტურული მნიშვნელობა ექნება ამ რაიონის გლეხობისათვის.

— **სკოლა მუშებისათვის.** ალმასკომის სააღმშენებლო სანიტ-ტეხნიკურ განყოფილების მუშებისათვის იხსნება ორი მე-2-ე საფეხურის სკოლა; სადაც მეცადინეობა დაიწყება ამ დღეებში.

— **ბინის გაქურდვა.** 1-ლ სამილიციო რაიონში 12 ოქტ. გაქურდული იქნა მოქ. ნატალია ტატიშვილის ბინა, საიდგანაც წაღებულია სხვადასხვა ნივთები, ღირებული 6 მილიარდ მანეთ. ბოროტმოქმედი ჯერ-ჯერობით არ არის აღმოჩენილი.

— **ქურდობა.** 12 ოქტ. დღის 2 საათზე გაქურდული იქნა მოქ. თავურის ბინა, საიდგანაც წაღებულია ერთი ხალიჩა, ღირებული 306 მილიონ მანეთისა. ეჭვით დაპატიმრებული მოქ. კონსტანტინე აივაზოვი.

— **ქურდების შეპყრობა.** 12 ოქტ. შეპყრობილ იქნენ მოქ. პრასკოვია მაშკაროვისა და ეფროსიმე კანავინისა, რომელთაც ბრალი ედებოდათ, ანნა თოფურიძის ტანსაცმლის მოპარვაში, რაშიაც ისინი გამოტყდნენ.

— 12 ოქტ. გაქურდული იქნა მოქ. ალექსანდრე ქიქინაძის ბინა, საიდგანაც წაღებულია სხვადა სხვა ნივთები, ღირებული 306 მილიონ მანეთად.

**ვალიუტის კურსი.**

15 ოქტომბერი.

| | |
|---|---|
| ჩერვონეცი | 63,000,000 მ. |
| სტერლინგი ფურც. | 56,000,000 „ |
| ჩეკი. | 52,500,000 „ |
| დოლარი ფურც. | 12,800,000 „ |
| ჩეკი. | 11,900,000 „ |
| ოსმალური ლირა | 6,800,000 „ |
| საბჭოთა ფული | 12,500 „ |

# პარტიაში

— დღეს, 16 ოქტომბერს, საქ. მემ. სოც.-ფედ. ქალთა ორგანიზაციაში ამხ. **დავით მელაშვილი** გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „თანამედროვე ქალი". მოხსენება იმართება ქალთა ორგანიზაციის კომიტეტის ინიციატივით. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. დასწრება შეუძლია ყველას.

— დღეს, ოქტომბრის 16-ს საღამოს 7 საათზე ცენტრალურ ბიუროში (ცეცხოველის ქ. № 1 ყოფილი ლორის-მელიქ. ქ. № 1) დანიშნულია მე-4 რაიკომის სხდომა:

განსახილველია სასწრაფო საკითხები და ვსთხოვ რაიკომის წევრებს აუცილებლივ გამოცხადდენ სხდომაზე აღნიშნულ დროს.

მე-4 რაიკომის მდივანი **აკ. სირაძე.**

— ოთხშაბათს, ოქტომბრის 17-ს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია ტფილისის კომიტეტის სხდომა.

ყველა წევრები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ სწორედ დანიშნულ დროს.

---

საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ქუთაისის ორგანიზაციამ ამ ბოლო ხანს ღრმად შეიჭრა მშრომელთა მასებში; მან გადალახა სხვა და სხვა დაბრკოლებანი და გააცხოველა პარტიული მუშაობა.

მან უკვე შეანათა პარტიული ჩირაღდანი დღემდე პოლიტიკურათ მიძინებულს და ჩამორჩენილს მხარეშიც კი და მცხოვრებთა ქვედა ფენების საუკეთესო მშრომელნი დააყენა საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე.

ქუთაისის ორგანიზაციას მიზნათ აქვს დასახული თავისი სამაზკომის ხელმძღვანელობით მოჰფინოს თემები და სოფლები პარტ-უჯრედებით, ხოლო რაიონები რაიკომებით და ამნაირად შემოკრიბოს ძვირფასი არჩილის მიერ ნაანდერძევი სოციალიზმ-ფედერალიზმის დროშის ქვეშ [illegible] პატიოსანი მუშაკი.

მიუხედავად იმისა, რომ [illegible] ალაგ-ალაგ შეუგნებელი ელემენტი მაღლა ხელს უშლის ჩვენი პარტიისკენ მშრომელთა სრბოლა მისწრაფებას, მაინც იდეა გზას აპობს სცილახარიბდას კლდოვანთა შორის და დღითი დღე ანდამანტივით იზიდავს მისკენ მშრომელთა რიგებს.

ზრდა და გაძლიერება ჩვენი პარტიისა იმავე დროს არის განმტკიცება საბჭოთა ხელისუფლების პოზიციებისა.

ამას კარგათ გრძნობენ მომზადებული, იდეური კომპარტიის წევრებიც, რომელნიც ხელს არ გვიშლიან პარტიულს მუშაობაში.

**გიორგი წივწივაძე.**

# მემარჯვენეების დაშლა

### მივეშველოთ ახალგაზრდობას.

მივეშველოთ ახალგაზრდობას! რას ნიშნავს ეს? რა ახალგაზრდები, ვინ ახალგაზრდები? ვისაც ქართველი ერის ისტორია აინტერესებს, იმას უსათუოდ (შეიძლება თამამად ითქვას) საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტ. ახალგაზრდების ბედი აინტერესებს. რადგანაც ქართველი ერის ისტორიის ბედთან ძლიერ გადაჯაჭვულია ახალ. ესფერთა ბედი. მე ფედერალისტთა პარტ. ისტორიის განხილვას არ შეუდგები, მხოლოდ დავასახელებ იმ მთავარ მოტივებს, რის საშუალებით ჩვენთვის ნათელი გახდება ზემო ხსენებული პარტიის როლი საქართველოში, როგორც წარსულში ისე აწმყოსა და მომავალში.

საქ. სოც.-ფედ. პარტია ერთად ერთი პარტიაა, რომელმაც საქართველოში წამოაყენა ეროვნულ-სოციალისტური პრობლემა. პირველი სიტყვა ამ მხრივ, როგორც საქ. ორიგინალურ ეროვნულ სოციალისტური პარტია მას ეკუთვნის. რაში მდგომარეობს ახალგაზრდობის მიშველება? ახალგაზრდა ესფერები, ეს მომავლის იმედი და ძალაა ს. ფ. სარევ. პარტიის მისი უდიდესი ლოზუნგების განსახორციელებლად. სიმრავლით ჩვენი პარტიის ახალგაზრდები აღემატება საქართველოში მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიების ახალგაზრდობას. ამის სამაგალითო ნიმუშებს იძლეოდა ჩვენი ტეხნიკუმები (გიმნაზიები) და სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც ასობით ითვლებიან ახ. ესფერები.

გასაბჭოების შემდეგ ეს ძლიერი არმია ახალგ. ესფერთა დაიქსაქსა შემდეგ ნაირად: დიდმა უმრავლესობამ არა ლეგალურ მუშაობას მიჰყო ხელი; ნაწილი დროზე გამოერკვა და მემარცხენე სოც.-ფედ. პარტ. შეუერთდა. ზოგი უპარტიოდ დარჩა. ეხლა ბუნებრივად ისმება საკითხი: ასე იყო დაქსაქსული ჩვენი ცოცხალი, მებრძოლი ახალგაზრდობა? მე ვამბობ: არა! ჩვენ არ შეგვფერის გულზე ხელდაკრეფილი ვიყოთ მაშინ, როდესაც ქართველ მშრომელ ხალხს სჭირია საბჭოთა აღმშენებლობის დრო[illegible]სალი მუშაკები, როდესაც ჩვენში სხვა და სხვა კულტურულ და სახელმწიფო დაწესებულებებში სიმშილია ქართული ენის მცოდნე ელემენტებისა. არ[illegible] ჩვენ უშუალოდ უნდა მივიღოთ მონაწილეობა საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობაში. ჩვენი ვალი[illegible] მოუწოდოთ სრულიად საქართველოს ესფერთა ახალგაზრდობას არჩილის დროშის ქვეშ შეკრბეს, ხოლო ამ დროშის მატარებელია საქ. მემარცხ. სოც.-ფედ. პარტია, რომელმაც დროზე აუღო ალღო ჩვენ[illegible] პოლიტ. სიტუაციას და რომლის ისტორია 19[illegible] წლიდან მარტო არ იწყება, ამას უფრო ადრე ჩა[illegible]ყრება საძირკველი.

შესდგა სენაკის მაზრის არალეგალურად მომუშავე ახალგაზრდა სოც.-ფედ. სარევ. პარტიის ლიკვიდაციის საინიციატივო ბიურო, რომელიც შედეგია ბუნებრივი გამოცოცხლებისა და მოვლენების სრული შეგნებისა. მაშ წინ მედგრად ამხანაგ[illegible]ბო, წითელი დროშით შრომის სუფევისაკენ!

სენაკის მაზრის ახალგაზრდათა ყოფილი მემარ[illegible]ვენე სოც.-ფედ. სარევ. პარტიის ლიკვიდაციის საინიციატივო ბიუროს წევრი: **შალვა ხახუბია.**

# „ანი" და „ბანი"

ვინც წარსულში ჩადენილ შეცდომებს მალავს, ხელს აფარებს,—მისი გულწრფელობა საეჭვოა. რევოლიუციონერისათვის შეცდომის ჩადენა,—ეს არაა უჩვეულო მოვლენა, მაგრამ შეცდომის შეგნება აუცილებელია მისი გამოსწორებისათვის და გულწრფელი აღიარება კი,—ნდობის მოსაპოვებლად.

ამიტომაა, რომ ჩვენ არ ვცდილვართ დაგვემალა საქ. სოც.-ფედერალისტთა პარტიის ძველი ცოდვები.

არც ის გვითქვამს, რომ ჩვენი ჯგუფი, მემარცხენე ფრთა, არასოდეს არ სცდებოდა. ამიტომ არც გვიფიქრია, რომ დღევანდელი მემარცხენე ს.-ფედერალისტები სავსებით განვათავისუფლოთ საერთო პარტიის ძველი ცოდვებისაგან. მაგრამ ამ ცოდვების სიმძიმე ჩვენ აღარ გვტანჯავს, რადგ[illegible] ვსცანით ის და აღვიარეთ.

და ვერავინ ჩვენ ნდობას ვერ დაიმსახურე[illegible] თუ ასევე არ მოიქცევა. ლენინმა იმით დაიმსახურ[illegible] უსაზღვრო ნდობა მშრომელთა მასების, რომ მ[illegible] [illegible] „ძირ გამომპალი ს.-დემოკრატიის" უნი[illegible]დაგო პროგრამა და მიიღო ნაროდნიკული პროგრამა შესწორებით.

სამწუხაროდ ასე ვერ იქცევა ზოგიერთი [illegible]ლად მოქცეული მენშევიკი.

ჩვენ მოგახსენებთ ვინმე „ბანზედ", რომელ[illegible] გაკვრით ეხება ს.-ფედერალისტებს. (საინიციატი[illegible] ბიუროს „მოამბეში" № 5)

# ისტორიული დოკუმენტები

### 6. ჩვენი ჯგუფი და ბოლშევიზმი.

ქართველი მუშა და გლეხი 1918 წ. 26 მაისის შემდეგ ერთობ გაიმიჯნა რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციისაგან. საბჭოთა რუსეთსა და დემოკრატიულ საქართველოს შორის ჩინური კედლები აიმართა. ქართველი მშრომელი ხალხი ჩამოშორდა ოქტომბრის გადატრიალების მნიშვნელობის გაგებას. მენშევიკურ დიქტატურის განმტკიცებამ გასაქანი მოუსპო საქართველოს მშრომელთა საზოგადოებრივ აზრს გაცნობოდა რუსულ კომუნიზმის შინაბუნებას. ბოლშევიკური ლიტერატურა დემოკრატიულ საქართველოს უკანასკნელ ორ წელში სათანადოდ ვერ ვრცელდებოდა მუშათა უბნებში. საგანგებო რაზმის მოღვაწეობა არ იძლეოდა სწორ შეხედულების გამომუშავებას საბჭოთა რუსეთის ცხოვრებაზე. მართალია, ბოლშევიკური პროკლამაციები ვრცელდებოდა ქართველ მასსაში, მაგრამ კომუნიზმის პროპაგანდისათვის პროკლამაციებს არ ქონდა დიდი მნიშვნელობა. პროკლამაციის ხასიათი და შინაარსი მომენტის გადაფასებით ამოიწურება, უბრალო ფრაზეოლოგიებით აიხსნება. რას წარმოადგენს რუსული ბოლშევიზმი, როგორია მისი ბუნება და მსოფლიო მაშტაბით დასახული მიზნები, რას შეიცავს საბჭოთა სისტემა, პროლეტარიატის დიქტატურა,—არ იყო ცნობილი ქართველი მშრომელი ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობისათვის. და თუ მასსამ იცოდა რამე ბოლშევიზმის შესახებ, ეს მხოლოდ ის, რაც ჩვენ მოგვცა „შავი წიგნების" გადათვალიერებამ.

მიუდგომელი რევოლიუციის მემატიანე, ობიექტიური და სერიოზული მკვლევარი უსათუოდ ხაზგასმით აღნიშნავს: ამხ. თედო ღლონტის ლიტერატურული გამოსვლები ბოლშევიზმის დასაცავად და კომუნიზმის შინაარსის ქართველ მასსაში გასაშუქებლად, მთელი ეპოქად უნდა ჩაითვალოს საქართველოში ბოლშევიკურ მოძრაობის ისტორიაში. ქართული ბეჭდვითი სიტყვა, ქართველი პუბლიცისტები და „სახელმწიფო მოღვაწენი" წარა-მარა იცავდნენ მენშევიკებს, უფრო სწორად რომ ვსთქვათ —მენშევიკურ ტაქტიკას. ამ შემთხვევაში პირველობა მემარჯვენე ფედერალისტებს ეკუთვნისთ. მაგრამ **არ იცის ქართულმა პუბლიცისტურმა ლიტერატურამ არც ერთი შემთხვევაც კი, როდესაც ამხ. თედო ღლონტი მენშევიზმისა და მენშევიკური პარტის აპოლოგეტის როლში გამოსულიყოს.**

სეით დევდარიანის დემაგოგიურმა გამოსვლებმა ქართულ პერიოდულ პრესაში („ერთობა") მიიქცია „საზოგადოებრივი" აზრის გულისყური. გაიმართა კამათი, ბრძოლა ორგვარ ტიპის აზროვნების შუა: მენშევიკურის და ბოლშევიკურის. „სახალხო საქმეში" იბეჭდებოდა წითელი „ფურცლები", რომლის ავტორი, კომუნისტური ფარ-ხმლით შეიარაღებული სასტიკად ამსხვრევდა „ერთობის" ფურცლებზე აღბეჭდილ ყალთაბანდურ დებულებებს რუსული ბოლშევიზმის შესახებ. ამხ. მკითხველებს მე დავპირდი ისტორიული დოკუმენტების საწყობი მხოლოდ წიგნებით ამევსო და გვერდი ამეხვია საგაზეთო წერილების აღნუსხვისაგან. მაგრამ საქმის ინტერესი მოითხოვს მცირე გამონაკლისის დაშვებას.

„ბ-ნი სეით დევდარიანი გვეუბნება, სწერს ამხ. თედო ღლონტი,—რომ სიმართლე კაუცკის ფორმულისაკენ (ე. ი. დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ გ. მ.) არის, ხოლო ახალმა პოლიტიკამ, დღესვე სოციალური გარდატეხის გზით სიარულმა ჩვენ მოგვიტანა დამარცხება ბოლშევიზმის სახით. სეით დევდარიანი სჩადის ერთს მთავარს, ისტორიულ დანაშაულს სოციალიზმის წინაშე: დევდარიანს სძულს ბოლშევიზმი და მას შესძულებია მთელი სოციალური პოლიტიკაც... ჩვენ შეგვიძლიან დევდარიანის საპასუხოდ კიდევ მეტი ვსთქვათ: **სრულიადაც რომ დამარცხდეს რუსეთში ბოლშევიზმი და ეს პარტია აღიგავოს რუსეთის ხსენებიდან, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ის პოლიტიკაც მოისპობა, რომელსაც ჩვენ ვქადაგებთ საქართველოში"** (ხაზი ავტორისაა. „სახალხო საქმე", № 842, 1920).

რა პოლიტიკაა ეს? ამ კითხვაზე ამხ. თედო შემდეგ პასუხს იძლევა: „განყენებულად, ისტორიული პროგრესის თვალსაზრისით, რასაკვირველია, ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ადვილად და ერთბაშად შეიძლებოდეს ბატონ-ყმურ წყობილებიდან **კომუნისტურ წყობილებაში** გადახტომა. ასეთი მეტამორფოზა ჩვენ არასოდეს არ წარმოგვიდგენია. მაგრამ ამ მეტამორფოზას უარყოფა სრულებითაც არ ნიშნავს მეორე უკიდურესობაში ჩავარდნას და ნამდვილ ბურჟუაზიულ პოლიტიკის მიღებას. **ჩვენ ვიმყოფებით კაპიტალიზმის მოხუცებულების ხანაში და** ეს კაპიტალიზმი გვევლინება არა ცოცხალი და მკვირცხლი არსებით, როგორც მე-18 საუკუნეში, არამედ ანჩხლიანი, ძუნწი, კაცთმოძულე და მტარვალი... **ჩვენ ვხედავთ, რომ კაპიტალიზმით სიარული არ შეიძლება. უნდა საშუალო, გარდამავალი ხანის შესაფერი პოლიტიკა გავმართოთ.**

უნდა გამოვიყენოთ კაპიტალიზმის საშუალებანი და მისი საზრიანი მოგვარებით ნიადაგი შევუმზადოთ სოციალისტურ წყობილებას—აი ასეთია მარტივად ჩვენი აზრი". გათვითცნობიერებული მკითხველი ნათლად ხედავს, რომ ავტორის მიერ მოხაზული გზა და წამოყენებული ეკონომიური პოლიტიკა სწორედ ის გზა და პოლიტიკაა, რომელსაც ადგას საბჭოთა ხელისუფლება სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის სახით. ჩვენი პრინციპია, განაგრძობს ამხ. თედო, **„წინასწარი განსაზღვრული სახელმწიფოს მაშტაბით ვიმუშაოთ არა როგორც მონებმა წარმოებაში, არამედ წარმოებისა და ქვეყნის ხელმძღვანელებმა.** ეს არის შინაარსი ჩვენი მოთხოვნისა." —აი მოკლედ და სხარტად ეკონომიურ პოლიტიკის ბოლშევიკური ფორმულიროვკა.

„სეით დევდარიანი ამბობს, რომ რუსეთის რევოლიუციის შემდეგ მუშების შრომის ნაყოფიერება დაეცა. ეს ცნობა არ არის სავსებით მართალი. **ჩვენ ვამტკიცებდით და ახლაც ვამტკიცებთ, რომ რევოლიუციამდე მუშის შრომა უფრო უნაყოფო იყო, ვიდრე რევოლიუციის შემდეგ, რომ მუშა რევოლიუციის შემდეგ უფრო კარგად მუშაობს, ვიდრე რეაქციის ხანაში.** მარტივი ცნობებით ს. დევდარიანმა ამ ჩვენს დებულებაზე ხმა ვერ გაგვცა, ხოლო **საერთო ეკონომიურ ცხოვრების დაცემის მიზეზად ჩვენ რომ მთელი ევროპის რეაქციის შემოსევა აღვიარეთ,** ამაზე დევდარიანი გვიპასუხებს: ამას ხომ ბოლშევიკებიც ამბობენო! მერე რა ბ-ნო დევდარიანო? ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იტყვის მას ბოლშევიკი თუ ფედერალისტი" („სახალხო", 1920 წ. ივნისის 5).

ჩვენს განკარგულებაში აუარებელი წერილ[illegible]ბია „ერთობის" თერმინოლოგიით რომ ვსთქვა[illegible] „ბოლშევიკური სულით" გაჟღენთილი. მაგრამ ჩვე[illegible] მათ არ შევეხებით, მასალებად გადავცემთ რევო[illegible]ლიუციის ისტორიკოსებს. ჩვენ საქმე გვაქვს უფრ[illegible] [illegible] ლიტერატურულ ნაწარმოებთან, [illegible] კრიტიკულ გონებრივ შემოქმედების ნაყოფთან. [illegible] თედო ღლონტის: Аграрная политика большевиков. [illegible]

როგორია ოქტომბრის რევოლიუციის ხასიათი? „რუსეთის რევოლიუცია 1917 წ. იყო,—სწერს ამხ. თედო,—და დღეს კი მით უმეტეს არის რევოლიუცია სოციალისტური. ხასიათი რევოლიუციის ბურჟუაზიულობის განისაზღვრება ბურჟუაზიის როლით და ამოცანებით რევოლიუციაში; **დღეს ბურჟუაზიის არავითარ დადებით როლზე რევოლიუციაში არ შეიძლება ლაპარაკი** [illegible] რევოლიუციის მისიაზე, ვინაიდან რევოლიუცია ბურჟუაზიის სამარეა" (გვ. 22). [illegible] რუსეთის [illegible] პოლიტიკური რევოლიუციის იდეებს [illegible] პროლეტარიატი და, ბუნებრივად, **რუსეთის რევოლიუცია [illegible] რევოლიუციად [illegible] პროლეტარული რევოლიუცია.** [illegible] ბურჟუაზია თამაშობდა რეაქციონერ რო[illegible] და ამიტომ **თანამედროვე რევოლიუცია ანტი[illegible]უაზიულია"** (გვ. 23).

[illegible] სოციალისტ[illegible] ფრანგ თეორეტიკოსის პოლ ლუის, რომელიც კიდევ 1905 წელს სწერდა: [illegible] (გვ. 10-11). ბოლშევიკები, როგორც რევოლიუ[illegible] [illegible] **„შეუდგნენ [illegible]**

მოქ. „ბანი“ შეიძლება არც ისე ახალ მოქცეული იყოს, ეგებ ის კარგი ხნის ბოლშევიკია პარტბილეთის მიხედვით, მაგრამ მას იმდენად უყვარს მენშევიზმი, რომ მზადაა ყველაფერი აპატიოს მას, გარდა უკანასკნელი ოთხი-ხუთი წლის ისტორიისა.

ავტორს უნდა დაამტკიცოს, რომ სოც.-დემოკრატია მხოლოდ ბოლო წლებში გახდა ცუდი, თორემ უწინ ერთად-ერთი რევოლიუციონური პარტია იყოო.

თუ ეს ასეა, თუ რუს. ს.-დემოკრატია უწინ, ე. ი. 1917—18 წლამდე კარგი იყო და რევოლიუციონერი, მაშ ლენინი კონტრ-რევოლიუციონერი გამხდარა, როცა მან უარყო ძველი სოც.-დემოკრატია, მისი გზა და მისი პროგრამა. ამას ამტკიცებენ მენშევიკები, მათ შორის ნ. ჟორდანიაც, ეს ძველი „ანი“, და მის საქმეს აკეთებს ახალი „ბანიც.“

ოქტომბრის რევოლიუციას გამარჯვება მოუპოვებია და დღესაც ასულდგმულებს მიწის სოციალიზაცია და ფედერაცია. ვინც ამ ორ მთავარ ძარღვს რუსეთის რევოლიუციისას ებრძოდა და ასუსტებდა, ის უეჭველად რეაქციას ემსახურებოდა. რუს. ს.-დემოკრატიული პარტია 20 წლის განმავლობაში ებრძოდა მიწის სოციალიზაციას და ფედერაციას. ეხლა მიბრძანეთ, რევოლიუციას ემსახურებოდა ის თუ რეაქციას? ლენინს მე ვფიქრობ, არა ნაკლები უმუშავნია რ. სოც.-დემოკრატიულ პარტიაში, ვინემ მოქ. **ბანს**, მაგრამ მან უარყო ის.

ასე უნდა მოიქცეს ის, ვინც მივა კომპარტიასთან მენშევიკების ბანაკიდან. თორემ ვინც ძველს გამართლებას ცდილობს, იმ ძველის, რომელიც უარყოფილი და განადგურებულია რევოლიუციის მიერ, ის ამით ამჟღავნებს, რომ ჯერ კიდევ წარსულის ტყვეობაშია.

ჩვენთვის კი ამ მხრით სულ სხვა პირობებია. ნაწილობრივ საკუთარი გზით და ნაწილობრივ შექმნილი მდგომარეობის შევასებით ჩვენ ბევრი რამ უარყავით ძველი, მაგრამ აზრადაც არ მოგვსვლია ხელი აგვეღო იმაზედ, რაც რევოლიუციამ გაამართლა. ჩვენთვის ახალია პრინციპი დიქტატურისა და აქედან გამომდინარე მეთოდები ბრძოლისა. ჩვენ მივიღეთ მუშათა და გლეხთა დიქტატურა (და არა მარტო პროლეტარიატის დიქტატურა) საბჭოთა სისტემის სახით და მივიღეთ იმიტომ, რომ მან მიზნად დაისახა სოციალიზაციის და ფედერაციის განაღდება, ე. ი. ის ანხორციელებს ჩვენი პროგრამის ძირითად მოთხოვნილებებს. ამიტომ შეიქნა ჩვენთვის გაცილებით უფრო ადვილი კომპარტიასთან საერთო ენის გამონახვა, ვინემ მენშევიკებთან. მენშევიკებს უნდა მიეღოთ არა მარტო ახალი მეთოდები ბრძოლისა, ახალი ტაქტიკა, არამედ სრულიად ახალი პროგრამა. ეს კი გაცილებით უფრო ძნელი საქმე იყო და მეტი დროც მოუნდა. ეს გასაგებია და ჩვენც დიდათ მოხარული ვართ, რაც არა ერთხელ გვითქვამს, რომ მენშევიკებიც სამი წლის უმიზნო ბრძოლის შემდეგ ჩვენ გზას დაადგენ და მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას შეურიგდენ.

რაც შეეხება სოც.-ფედერალისტების სისუსტეს წარსულში, რაღა თქმა უნდა ამის მთავარი მიზეზი იყო პარტიის უილაჯობა. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამის ერთად-ერთი მიზეზი იყო სოციალ-დემოკრატიის უფრო ადრე გამოსვლა და მასსების დაპყრობა. მაგრამ ეს გარემოება ერთი მიზეზთაგანი იყო უსათუოდ. სხვა პარტიის დროშის ქვეშ დარაზმული მასსის გადმობირება რომ ძალიან ძნელი საქმეა, ამას ცხადყოფს III და II ინტერნაციონალის ჭიდილი. რომ რუს. სოც.-დ—ია ძირმომპალი იყო და რევოლიუციას ნაკლებ ემსახურებოდა, რომ ამის გამო მისი გარიყვა შესაძლებელი იყო, ეს სავსებით დაამტკიცა რუსეთის რევოლიუციამ და ბოლშევიკებმა.

მოქ. **ბანი** გამომდგარა დღეს და ისე, როგორც წინედ **ანი** ამტკიცებს, რომ სოც.-დ—იამ ინტერნაციონალური დროშა აიღო ხელში და ამით დაიმსახურა მუშათა კლასის ნდობაო.

**„მჭიდრო კავშირი რუსეთის მუშათა კლასთან და რევოლიუციონურ გლეხობასთან“** სხვა გზა არ არსებობდა თვითმპყრობელობისაგან განსათავისუფლებლად. „აი ამ შეგნებით დაუმორჩილა მან (სოც.-დ—იამ) ეროვნული პრობლემა რევოლიუციის ინტერესებს და პირველ რიგში კლასიური ამოცანებისათვის ბრძოლა წამოაყენაო“.

„მუშათა კლასს საკუთარი კლასიური უფლებისათვის უნდა ებრძოლა პირველ რიგში—ხოლო ნაციონალისტები მას ეროვნულ ფრონტის გამაგრებისა და კლასიურ ბრძოლის დროებით შენელებისკენ მოუწოდებდენო“.

რაც შეეხება რუსეთის მუშებსა და გლეხებთან კავშირს სოც.-ფედერალისტებიც ამას მოითხოვდენ, მაგრამ ამ მჭიდრო კავშირის საუკეთესო ფორმად ფედერაცია მიაჩნდათ. სოც.-დემოკრატიას კი უნიტარული სახელმწიფო და ამიტომ ებრძოდნენ ფედერაციას.

მაგრამ მხოლოდ ფედერაციის და ერთა განთავისუფლების გზით მოხდა საბჭოთა რესპუბლიკების შექმნა და მათი მჭიდრო კავშირი, რომელიც დღეს მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვების გარანტიაა.

—ფედერაცია გათიშვას ნიშნავს, ფედერაცია დაასუსტებს რევოლიუციის ფრონტს და ვინც ფედერაციას მოითხოვს, ის მუშათა კლასის მოღალატეა, რეაქციონერიაო,—ამტკიცებდა ანი და ნუთუ ეხლა ამას გაიმეორებს ბანიც?

ფედერალისტები რომ ზოგჯერ კლასობრივი ბრძოლის დროებით შენელებას ქადაგებდენ,—ეს მართალია და შეცდომაც აქაა ძველი პარტიისა. კლასობრივი ბრძოლის შენელება სულაც არ იყო აუცილებელი ეროვნული ინტერესების დასაცავად. მაგრამ ასეთი შეცდომების თავიდან ასაშორებლად, წმინდა კლასობრივი ბრძოლის საწარმოებლად აუცილებელი იყო ეროვნული საკითხის მოგვარება, რომ ეროვნულ ჩაგვრას მუშათა კლასი ნაციონალისტურ გზაზედ არ დაეყენებია. ეს შეიგნეს ბოლშევიკებმა და ეროვნული საკითხი რადიკალურად გადასწყვიტეს, მაგრამ ეს არ ესმოდათ მენშევიკებს და ებრძოდნენ სალ ელემენტარ ეროვნულ მოთხოვნილებებს მუშათა კლასისა.

ჩვენ წმინდა კლასობრივ პოლიტიკას ვადგივართ, ვიცავთ მუშათა კლასის ინტერესებსო, გაიძახოდა ანი.

დღეს ამასავე ადასტურებს ბანი. მაგრამ კეთილ ინებოს და აგვიხსნას: როგორ მოხდა, რომ საქ. სოც.-დ-ლი პარტია აივსო ვაჭრებით და კულაკებით და გახდა წვრილ ბურჟუაზიულ პარტიად გაცილებით ადრე, ოქტომბრის გადატრიალებამდე? ერთხელ ნ. ჟორდანიამ აღიარა ერთ ბროშურაში, რომ სოც.-დ-ებმა თავიანთი პროგრამა ხალხს დაუმალეს, თორემ წვრილი ბურჟუაზია არ გაავსებდა პარტიასო.

მოქ. **ბანი** უფრო კარგს იზამდა ეს უკანასკნელი დაედასტურებია..

კიდევ ერთ განმარტებას მოვითხოვთ: თუ სოც.-დ-ია ასე სწორ კლასობრივ ბრძოლას აწარმოებდა, მაშ რატომ სთვლიდა მას თავის ინტერესების გამომხატველად სოლოლაკის ბურჟუაზია და რად აძლევდა ხმას?..

შეცდომა იმდენად საშიში არაა, რამდენადაც მის შეუგნებლობა ან მიფუჩეჩება. მეტი გულწრფელობა, მეტი სამართლიანობა და ობიექტივობაა საჭირო. როგორც საკუთარი, ისე სხვისი წარსულის გადაფასების დროსა. ვინც რევოლიუციის ფრონტს უბრუნდება, მან უნდა გულიდან ამოიგლიჯოს ძველი შური და ღვარძლი. სრულიად განწმენდილნი და განბანილნი მივიდეთ რევოლიუციის წმინდა სამსხვერპლოსთან.

**ომეგა.**

## ტფ. თვითმშრომელთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების შესახებ

დღეს ცენტრალურ კომიტეტში ირჩევა საკითხი თვითმშრომელთა საზოგადოების ყოფნა არ ყოფნის შესახებ.

ვინც მოშორებით სდგას ამ საზოგადოებიდან, ვინც არ იცნობს მის მოქმედებას, ვინც არ იცნობს მის მუშაობას, მის წარსულს,—მისთვის ადვილია ყოველივე საკითხების გადაჭრა, მისთვის ადვილია უარყოფითათ მსჯელობა მის შესახებ, მაგრამ ვინც ახლოს სდგას ამ საზოგადოებასთან მისთვის ყოველივე გარკვეული და ნათელია.

ჩვენ არ ვიცით მიზეზი ასეთი გარემოებისა თუ რამ შექმნა ეს მოვლენა, მაგრამ ერთი კი არის: აქ რამოდენიმედ მაინც ალაგი აქვს კერძო პირად ჟინიანურ მოქმედებებს, ამ შემთხვევაში ლოღიკურათ რომ ვიმსჯელოთ რა შუაშია აქ კავშირის გაუქმება და რამოდენიმე ათასი კაცის უორგანიზაციოთ დატოვება.

ჩვენ არავის არ უნდა მოვეხათროთ თუ არ ვარგა, თუ დისონანსი შეაქვს მუშაობაში ვინმეს, თუ ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, ის უნდა იქმნეს დათხოვნილი, ის უნდა იქმნეს მოშორებული საზოგადოებიდან, და არა საზოგადოება იქმნეს გაუქმებული, მაგრამ ამ მისამართით რომ იმოქმედოს იმ პიროვნებამ, მაშინ ყოველივე გარკვეული იქნება და რომ გადავფხიკოთ მისი მოქმედება კერძო ჟინიანური პირად ინტერეს მივიღებთ და სხვ.

ეხლა კი მკითხველისათვის რომ ნათელი დარჩეს ერთგვარი წარმოდგენა ამ საზოგადოების შესახებ, როგორც ახლო მდგომი მასთან, თავს ნებას მივცემ მოკლე შტრიხებში აღვნიშნო მისი წარსული.

მთლად წინეთ, „ცარიზმის“ დროს, არსებობდა ხელოსანთა „პრავა“, რომელიც უძღვებოდა მთელ ტბილისის ხელოსნებს.

რევოლიუციის შემდეგ კიევის ნანგრევებზედ სრულიად ახალი დაწესებულება აღმოცენდა. ეს იყო ე. წ. „რემკუსტი“ და ოთხი ცეხი რომელშიაც შედიოდნენ იუველირები, გრავიორები, და სხვ.

ამ რემკუსტში შედიოდნენ ისეთი ხელოსნები, რომლებიც სარგებლობდენ სხვისი, ე. ი. დაქირავებული შრომით და აგრეთვე თვითმშრომლებიც, ცოტა ხნის შემდეგ ეს „რემკუსტიც“ დაინგრა.

მაშასადამე ხელოსანთა „რემკუსტის“ ლიკვიდაციის შემდეგ თანდათანობით იქმნებოდა ახალ-ახალი ორგანიზაციები [illegible] სხვა და სხვა დარგიდან. ორი წლის [illegible] წლინახევრის წინეთ, რათა ამ [illegible] ორგანიზაციებს მთლიანი სახე მიეღო, პროფკავშირთა საბჭომ ამხ. ყურულოვის და ვირაპის სახით მიანდო იმ ოთხი ცეხის თავმჯდომარე ამხ. სილ. ჩხეიძეს ყველა დარგის მოხელეთა გაერთიანება, რაც ამხ. ჩხეიძემ შეასრულა სათანადოთ და როგორც გამოცდილმა ამ დარგში მის გარშემო შემოკრიბა მთელი ტფილისის მუშა-ხელოსნები.

შემუშავებულ იქმნა სახელმძღვანელო ინსტრუქცია და ჩამოყალიბებულ იქმნა საზოგადოება დღევანდელი სახით.

თუ რა გაუკეთებია ამ წლინახევრის განმავლობაში ეს რომ აღვნიშნოთ არც ეს იქმნება უალაგო.

1. კავშირმა მხედველობაში მიიღო და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კავშირის წევრებისთვის მედიკურ დახმარების აღმოჩენას. ამისათვის განსაკუთრებული ფონდი შეჰქმნა საავადმყოფო კასაში. ყველა წევრს საშუალება ეძლევა ისარგებლოს უფასო ექიმით, წამლით და საავადმყოფოთი (დღესაც წევს 17 კაცი რესპუბლიკის საავადმყოფოში).

2. საზოგადოება შრომის უნარ მოკლებულ მოხუცებულ წევრებს აძლევს პენსიას.

3. თავის წევრებს გზავნის კურორტებზე, როცა ასეთს საჭიროება მოითხოვს.

4. საზოგადოება დახმარებას უწევს ქვრივ-ობლებს და გაჭირვებულებს.

5. საზოგადოების წევრი სარგებლობს რა შეღავათებით, ოთახის ქირას იხდის, ისე როგორც პროფკავშირის წევრები.

6. ასეთივე უფლებებით სარგებლობენ ბავშვ-მოწაფეთა მშობლები, როცა თავიანთ შვილებს სასწავლებლებში აბარებენ.

7. უბედურ შემთხვევების დროს წევრები სარგებლობენ სამარხი კასით.

8. საზოგადოებას აქვს თავისი საკუთარი კლუბი, სადაც ორშაბათობით იკითხება ლექციები წევრთათვის.

9. იქვე არსებობს ქართული დრამატიული სტუდია, სადაც გამოცდილი ხელმძღვანელის ხელმძღვანელობით ამზადებენ განსაკუთრებით ხელოსნებს ქართულ სცენისათვის.

19. იქავე არსებობს პოლიტიკური წრე, სადაც იკითხება ლექციები პოლიტიკაზე. მეცადინეობა სწარმოებს კვირაში სამჯერ და წევრებიც ესწრებიან რა ყველა ლექციებს, ენერგიულად მუშაობენ.

ღებულობს რა ყოველივე ამას საზოგადოება მხედველობაში, არასოდე[ს] ფულს არ იშურებს კულტურულ ფრონტზედ წევრების სასარგებლოდ.

11. მიიღო რა მხედველობაში მთავრობის მოწოდება ავიაციის შექმნის შესახებ, ის თავის საკუთარი ფონდით ჰაეროპლანს აგებს და აი ამ მიზნით შეგროვილია ოთხი მილიარდი ფულათ და აგრეთვე სხვა საქონელიც.

12. საზოგადოება არის „ზაკჩეკას“ მცველ მხლებელთა სადარაჯო ათასეულის შეფი, რომელიც მილიარდები უზის.

13. საზოგადოებას ჰყავს საპატიო წევრები ესენი არიან **ლ. დუმბაძე, ფ. მახარაძე, იაშვილი, ლ. სუხიშვილი, ლ. მირატაძე და სხვ.**

---

**თის რევოლიუციის გაფართოებას** до рамок международного масштаба, და ამიტომ ამ საკითხს ბოლშევიკები აყენებენ ყველაზე მაღლა იმიტომ, რომ მათ **წინაშე გაშლილი სოციალ-პოლიტიკური მოვლენები იღებს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციის ხასიათს**“ (გვ. 9—10).

რუს კომუნისტების სოციალისტური მუშაობა გამომდინარეობს ოქტომბრის რევოლიუციის ბუნებისა და მიზნების საერთაშორისო პროლეტარულ ხასიათიდან. ამიტომ ბოლშევიკების საშინაო ეკონომიური პოლიტიკა **„ღრმად რევოლიუციონურია, იქნება ეს მეურნეობის დარგში ქალაქებში თუ სახელმწიფოში“** (გვ. 34).

„ჩაახრჩვეს რა კაპიტალისტების კერძო ინიციატივა, გააეროვნეს რა კრედიტი, ფაბრიკა-ქარხნები, მიწები... მიაკუთვნეს რა მთელი ეკონომიური ბატონობა ქალაქს, თემს, კოოპერატივს და სახელმწიფოს, ბოლშევიკებმა უჩვენეს მსოფლიოს მთელი შესაძლებლობა წინასწარ განსაზღვრულ გეგმასა და ძალებზე აგებული ორგანიზაციული მუშაობის შემოღება, ე. ი. სოციალიზმის დამყარება“ (გვ. 34—35). ამრიგად, **„ბოლშევიკური პრაქტიკა რუსეთში კონკრეტიულად უმტკიცებს მსოფლიოს, რომ შექმნილ სოციალ-ეკონომიურ პირობებში ჩვენ შეგვიძლიან გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე“** (გვ. 25). ავტორი ცოტა ზევით აცხადებს: „რაც გინდ სთქვან, „სინდისიერი მოპყრობა ისტორიისადმი გვავალებს ჩვენ ვაღიაროთ, რომ სახელდობრ **მხოლოდ ბოლშევიკებმა წამოაყენეს ერთიანად დამპალ კაპიტალიზმის და იმპერიალისტურ ომების მოსპობის ისტორიული ამოცანები**“ (გვ. 24).

პროლეტარულ რევოლიუციაში პოლიტიკური ცხოვრების სადავე პროლეტარიატის ხელში უნდა იყოს. პროლეტარიატის დიქტატურა ბუნებრივი და აუცილებელი მოვლენაა სოციალისტურ გარდაქმნაში. **„რა კი რუსეთის რევოლიუციამ წამოაყენა საკითხი ხელისუფლების შესახებ, ცხადია, რომ შეუძლებელია იყოს სხვაგვარი ხელისუფლება, გარდა პროლეტარულისა**“ (გვ. 23).

მართალია, არსებობს საბჭოთა რუსეთში სისხლის ღვრა, ძალმომრეობა, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის შედეგია. მაგრამ ეს **„იმდენად სტიქიური მოვლენაა რევოლიუციის დროს, რამდენად რევოლიუცია ღრმა და ფართოა“** (გვ. 26). **სამოქალაქო ომებში, კლასთა შეიარაღებულ ბრძოლაში წარმოშობილი** „**მოვლენები ჩვენს ნებაზე არ არის დამოკიდებული**“ (გვ. 26), რადგან **„ძირფესვიანად აღმოფხვრა საუკუნოებრივი წესწყობილებისა“** ბუნებრივად იწვევს ძალადობას, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ საბჭოთა რუსეთის ცხოვრებაში (გვ. 24).

1920 წ. მაისში ევროპიდან დაბრუნდა საქართველოში მენშევიკური პარტიის ცნობილი ბელადი ირ. წერეთელი. ქართველ მუშებისა და გლეხების მიტინგებზე იგი აცხადებდა: „რუსული ბალშევიზმი, საბჭოთა რუსეთის რეჟიმი—აი დიდი ფაქტორი, რომელიც თამაშობს „ტორმაზის“ როლს თანამედროვე მსოფლიო განვითარებაში“... მხოლოდ მაშინ, როდესაც ბოლო მოეღება ბოლშევიზმს რუსეთში, ან და ევროპის მუშები და გლეხები თავის დელეგაციების სახით მიიღებენ საშუალებას უშუალოდ გაეცნონ ბოლშევიკურ რუსეთის ნამდვილ სურათს,—ევროპის პროლეტარიატის ყველა ფენები გაჯანსაღდება, ევროპის პროლეტარიატი შესძლებს გამოსვლას, როგორც შემჭიდროებული შემოქმედებითი ძალა, რომელიც იქნება გამოსადეგი მის წინაშე ისტორიის მიერ წამოყენებულ დიდ ამოცანების განსახორციელებლად“. (გაზ. „ბარბა“, № 111, 1920). აი რას სწერს ამხ. თედო წერეთლის ჯიშის რეაქციონერების საპასუხოდ:

„არავითარ სხვა პოლიტიკურ ძალას რუსეთში, მოცემულ ძალთა მიმართებაში, გარდა ბოლშევიკებისა, არ შეუძლია ხელისუფლების შერჩენა, ხოლო რუსეთიდან ბალშევიზმის განდევნა შესაძლებელია მხოლოდ ანტანტის შეიარაღებულ ძალით, ინტერვენციის სისტემით, შავი რეაქციის გამეფებით... დაცემა ბოლშევიზმისა რუსეთში აღნიშნული იქნება მკვლელობებით, რევოლიუციის ასი ათასი ცოცხალ ძალების დასჯით, თეთრი ტერორიზმის გამეფებით და რეაქციის ზეიმის უსაშინელესი მოვლენები რუსეთში თავის სიმკაცრით და სისხლით დაფარავს ყველა იმ სურათებს, რომლებიც შეიძლება განაწამებ მასსის სისხლით რეაქციის გამარჯვების დროს 1831 წ. ივლისში, 1848 წ. ივნისში და კომუნის დღეებში 1871 წელს“ (გვ. 49), ქვევით: „**ბალშევიზმის დაცემა და გამეფება თუ გინდ გუჩკოვისა ან მილიუკოვისა თვითგამორკვევის ნიადაგზე შემდგარ რუსეთის ხალხებს მიიყვანს დაღუპვასა და თვითმოსპობამდე**“, (იქვე). კიდევ: „**რუსეთში ბოლშევიზმის დაცემა მიიყვანს რუსეთს კოლონიალ მდომარეობამდე, ანტანტის იმპერიალისტების მიერ ხალხის დამონავებამდე, და ამრიგად რამოდენიმე ათეულ წლების შემდეგ გამტკიცდება ფინანსიური კაპიტალის და იმპერიალისტური კაპიტალიზმის საფუძვლები**“ (გვ. 49). ეგ სიტყვები ბევრზე ვერ მოადენს „გამანადგურებელ“ შთაბეჭდილებას, რადგან ყელს ზევით ასე მსჯელობენ დღეს უკვე ყოველი ჯურისა და რანგის „გაწითლებული რევოლიუციონერები“. მაგრამ ჩვენ უნდა არ დაგვავიწყდეს, რომ საქმე გვაქვს 1920 წელთან!

როგორია რუსული კომუნიზმის ეროვნული პოლიტიკა? ამ კითხვაზე ამხ. თედო გარკვევით, გვეუბნება: **„საბჭოთა მთავრობა მეგობრობის ხელს უწვდის მსოფლიოს ყველა ხალხებს. იგი შეურყევლად ერთგულია ყველა ხალხებისადმი თვითგამორკვევის უფლების მინიჭების პრინციპის“**. (გვ. 108).

„ბოლშევიკებმა წამოაყენეს თავის სააღმოსავლეთო პოლიტიკის მთავარ საკითხად არა აზიის დაპყრობა რუსეთისათვის, არამედ განთავისუფლება აზიისა ინგლისის გავლენისაგან“ (გვ. 107). „თავის სააზიო პოლიტიკით არ იმორჩილებენ აღმოსავლეთს... რუსეთი ანტაგონიზმში კი არაა, არამედ კონტაქტშია აზიის სახელმწიფოებსა და ტომებთან, თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე“ (გვ. 107—108).

აშკარაა, ბოლშევიზმი იმპერიალისტური მოვლენა კი არაა, არამედ არხირევოლიუციონური. მას უპირისპირდება მთელი ძალ-ღონით ანტანტის სახელმწიფოები, კაპიტალისტური მსოფლიო. **„იმპერიალიზმი იარსებებს მხოლოდ მაშინ, თუ კი მოისპობა ბალშევიზმი. სანამ ცოცხლობს ბოლშევიზმი, იმპერიალიზმს არ შეუძლია გაატაროს ცხოვრებაში თავისი ამოცანები, რომლის განხორციელება წარმოადგენს** conditio sine qua non **იმპერიალიზმისა**“ (გვ. 44).

როგორია რუსული ბოლშევიზმის მომავალი? „შესძლებენ თუ არა ბოლშევიკები იმპერიალიზმისა და ინგლისის ბატონობის დამხობას“? (გვ. 60) ამ კითხვაზე ამხ. თედო დადებითად უპასუხებს. ამხანაგის აზრით, იმპერიალიზმის ბატონობამ თავისი დრო მოჭამა (გვ. 130) ანტანტის მესვეური—ინგლისი „ფაქტიურად, ეკონომიურად და პოლიტიკურად ღონემიხდილია და გალატაკებული“ (გვ. 122), იგი „ფინანსიურადაც და ეკონომიურადაც კარგავს თავის გავლენას კოლონიებსა და პატარა სახელმწიფოებზე“ (იქვე). წიგნის 57—146 გვ. სივრცეზე მოყვანილი აუარებელი სტატისტიკური ცნობები ადასტურებს ინგლისის კაპიტალის მომწყვდევას საკუთარ „ტერიტორიის—ბრიტანეთის ფარგლებში, კოლონიალ ერებში ეროვნულ ინდუსტრიალიზმის განვითარება-აღორძინებას. მეტროპოლიის კაპიტალს ახალშენების კაპიტალი დაუპირისპირდა შევიწროვდა ბაზარი ანტანტის ფაბრიკატებისათვის. ამის შედეგად „ვხედავთ ინგლისის მუშათა კლასის მდგომარეობის ჯერ არ ყოფილ გაუარესებას“ (გვ. 90), ანტანტის მშრომელი მასსა იწყებს გამოღვიძებას (ibid.) და ამიტომ ცხადი ხდება, რომ **„ბოლშევიკების მუშაობა... ბოლოს და ბოლოს გაანთავისუფლებს მსოფლიოს და დემოკრატიას იმპერიალისტურ მტარვალებისაგან“**. (გვ. 120). „ჩვენ დარწმუნებული ვართ,—აცხადებს ავტორი, რომ სოციალიზმისა და იმპერიალიზმის მსოფლიო ომში გამარჯვება იქნება ხალხის მხარეზე, დემოკრატიის მხარეზე“ (გვ. 118). **„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ინგლისის იმპერიალიზმი დაიღუპება და გაიმარჯვებს სოციალიზმი“** (გვ. 153). „თვით ცხოვრების ფაქტები ადასტურებს, რომ **ისტორია სოციალიზმის მხარეზეა, და რომ სახელდობრ ბოლშევიკები ბოლომდე მიიყვანებენ იმპერიალიზმის ისტორიულ ამოცანას**“. (გვ. 145).

ასეთია ავტორის თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ზოგადი დასკვნები ბოლშევიზმის გაშუქებაში.

**გ. მუშიშვილი.**

აგრეთვე ტფილისის ქალაქის საბჭოში მას ჰყავს 14 დეპუტატი მათგან 9 კომუნისტია ესენი არიან **მიხა ჩოდრიშვილი, კოწია ხომერიკი, ს. შავიშვილი, ვარძიელი, ვარდანიანი, მაჩაიძე და სხვ.**

აი მოკლეთ პატარა ცნობები ამ საზოგადოების მუშაობის შესახებ ჩვენ ამდენ ხანს ვსდუმდით ჩუმათ ვმუშაობდით და აი ახლა კი, როცა ასე მწვავედ დაისვა ჩვენი ყოფნა არყოფნის საკითხი, ჩვენც უფლებას ვაძლევთ ჩვენ თავს საზოგადოებას ვამცნოთ რომ ჩვენ არ გვძინავს ვმუშაობთ, ვმოქმედობთ. ჩვენ გვინდა საშუალება ასეთი მუშაობა კვლავ განვაგრძოთ.

კავშირს თავის წევრებთანაც არის და მთავრობასთანაც, მაგრამ ეხლა სჩანს რომ მასაც ჰყოლია ზოგიერთი უმადრიელო ელემენტები. მაგრამ ასეთი ელემენტები მაშინ გყავს როცა მუშაობ, რაღაცას აკეთებ და ეს გაკეთება ხომ ყველასათვის მისაღები არ არის. ერთი ანდაზა ამბობს „ერთხელ თვით ქრისტეც კი შესცდაო“ და ჩვენც თუ გვაქვს შეცდომები არ გაგვიკვირდება, ვინაიდან მთელი საზოგადოების გამგეობის შემადგენლობა მუშებისაგან და ხელოსნებისაგან შესდგება და თუ ამ შეცდომებზე ვინმე მიგვითითებს, ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ და გამოვასწორებთ. რაც შეეხება მთელი საზოგადოების გაუქმებას ეს არ არის მიზანშეწონილი ეს სასიკვდილო ლახვარი იქნება ხელოსნებისათვის ჩასაცემათ აღმართული.

ეს მიწასთან გასწორება იქნება მათი, მაგრამ ჩვენ ჯერ არასფერს არ ვამბობთ ამის შესახებ. მისი გაუქმების შესახებ დღეს კითხვა დგას და აი ამ კითხვის გადამჭრელ პირების საყურადღებოთ ვიტყოდი: დიდი სიფრთხილე ამ საკითხისადმი! ათი ათასი კაცის ორგანიზაციის დაშლა და უორგანიზაციოდ დატოვება სიკვდილია მათთვის, დარწმუნებული, რომ კითხვა რამოდენიმე ათას მუშა ხელოსანთა სასარგებლოთ გადაწყდება და არა ორ სამ დაინტერესებულ პიროვნებით, ჩვენ დროებით ამაზე შევჩერდებით.

**გარო.**

## პენსიების შესახებ.

ამიერ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების მიერ პენსიების გაცემა საზღაპრო საქმედ გადაიქცა, ბევრი რომ არ ვსთქვათ, იგი დიდს მითქმა—მოთქმას, აღელვებას და უკმაყოფილებას იწვევს, ასე გაშინჯეთ, მათ შორისაც კი, ვისაც პენსიის მიღებაზედ არავითარი პრეტენზია არა—აქვს და მაშასადამე არის მიუდგომელი მაყურებლით, ამ ერთნაირი უწესოებისა.

საქმე იმაშია, რომ პენსიონერმა არ იცის როდის, რა თვეში და რომელი თვისას მიიღებს მთავრობის მიერ დანიშნულ ფულის ულუფას და—აი, ამიტომ მას უხდება დაუსრულებელი სიარული სახალხო განათლების კომისარიატში ყოველ ცისმართ დღე; აქ, რასაკვირველია, იგი ყველას აწუხებს და აბეზრებს თავს დაუსრულებელი გამოკითხვით და ბოლოს დიდი თუ პატარა მოხელისაგან „ხვალით“ დაიმედებული ბრუნდება შინ, მეორე დღეს იწყობა ისევ ის ისტორია და ამ ნაირ დაპირებებში გადის დღეები, კვირეები და თვეებიც. ვფიქრობთ, ეს ერთნაირი შეურაცყოფაა და არა ხელის აპყრობა იმ პირთადმი, რომელთაც ოცი, ოცდაათი წლის განმავლობაში უანგარო, კეთილშობილური გარჯილობა მიუძღვით ამა თუ იმ კულტურულ დარგში. რათა, ვისთვის, ან რისთვის არის ეს საჭირო, რომ უდაუმსახურებლათ დამსახურებული ადამიანი მათხოვრათ გარდააქციო და თავმოყვარეობა აღარ შეარჩინო,—ეს ვერ გაგვიგია; ნუ თუ არ შეიძლებოდა ისე მოწესრიგებულიყო პენსიების გაცემა,—თუნდა გვიანაც,—რომ არც მთავრობისთვის ყოფილიყვნენ პენსიონერები სატირალ—სატკივარნი და მოამაგე. ხალხის ხელის გაწვდენაც მადლიანი ყოფილიყო.

თუ კარგ საქმესა შვრება მთავრობა, უნდა მან წესად შემოიღოს ერთნაირი განცხადება, რომელიც აუწყებს პენსიონერებს, რომ ამა და ამ თვის პენსია დაურიგდება,—ვთქვათ,—იმ თვის ბოლოში, მორჩა და გათავდა, რა არის ამაზედ ადვილი?. რომელ პენსიონერს შეუძლიან ამაზედ ხმა ამოიღოს, კრინტი დაძრას; ის დაუსრულებელი „ხვალა“ კი, რომელიც დღეს ჰკვებავს პენსიონერს, ყოვლად დაუშვებელია მიმცემისთვის, სათაკილო—მიმღებისთვის.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც და ამას არ შეიძლება კაცმა გვერდი აუხვიოს და ყურადღება არ მიაქციოს; საქმე იმაშია, რომ სანამ პენსიების გაცემა ეხელისუფლებოდა საბჭოთა საქართველოს მთავრობას, პენსიებიც დროზედ ეძლეოდათ, გადავიდა თუ არა ამ თანხის გაცემა ამიერ კავკასიის ფედერაციის განკარგულებაში, წესიერება გაცემაშიც და მიღებაშიც შეირყა. რა მოხდა, ან რათ ირჯება ესე გვიან ფედერაციის საბჭო დეკრეტით დაკანონებულ თანხის გაღებაში, ეს ვერაფერით ვერ აგვიხსნია. ამ ნაირმა უგულო გარჯილობამ კი ის მოიტანა, რომ პენსიონერებმა აგვისტოს პენსია მიიღეს სექტემბრის ბოლოში, ე. ი. მაშინ როდესაც ბონების ღირებულება ბაზარზედ სანოვაგის და საქონლის უზომო ფასებით გაბათილებული იყო. პენსიონერები კი, ბევრი, ძალიან ბევრი მათგანი ოცნებაში დროზედ მიღებული ფულით სახლში სურსათ—სანოვაგეს მოიდღოვლათიანებენ ხოლმე, ხოლო სინამდვილეში კი იგი ამ პენსიის ორ სამ გირვანქა შაქარსა ყიდულობს და ამდონსავე საპონს, პრინჯს და თამბაქოს ერთად. აი აქ არ შეგვიძლიან არ მოვიგონოთ ძველებური ქართული: თუ მადლსა შვრები, მარილიც ზედ მოაყარეო.

რა არის მთავრობისთვის, გაიღოს ეს საპენსიო თანხა დროზე, რომ ამ გაცემას მადლი ჰონდეს და იმედით შემაყურებელმა პენსიონერმაც თავის გაჭირებას მით ცრემლი მოსწმინდოს.

**პენსიონერი.**

## პასუხის მაგიერ

(ჟურნ. „განათლების მოამბე“ № 3, ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ სტატია ფ. შავგულაძისა სადისკუსიო).

ქართულ ენის წარმატებით და ნაყოფიერ სწავლებისათვის სადისკუსიო სტატიის ავტორი მეტად ახირებულ რჩევას იძლევა. უარჰყოთ ე. წ. „მოსამზადებელი პერიოდი“, რადგან იგი უმთავრესად წმ. მამათა ცხოვრებას შეიცავს და ქართული ენაც ჩინებულად შეისწავლებაო.

ეს წინადადება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს... მსგავსი „ორიგინალი“ აზრი მშობლიურ ლიტერატურის შესაგრძნობ შესათვისებლად ყოვლად დაუშვებელია.

სიტყვიერების სწავლება—ლიტერატურის შეცნაურება წარმოუდგენელია ნახტომებით...

რომელი ჰკუათამყოფელი გვეტყვის, რომ ჩვენს თანადროულ თაობას მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 საუკ. სულიერი რაობა გონებრივ შემოქმედებრივი გასინათლება არ სჭირია.

ჩვენ იმას უნდა ვსცდილობდეთ, რომ მე-5 საუკ. უკანაც შევსძლოთ განსჭვრეტა ქართულ მწერლობის მე-4, მე-3 და სხვა პერიოდების ისტორიის სამარიდან გაცოცხლება მოვახერხოთ, თორემ რაც გვაქვს იმის უარჰყოფა აბა რა საფიქრელია?!..

ყველაფერი ვითარდება ევოლუციურად, საფეხურებით და კანის ცვლით.

რა უყოთ, რომ წმ. მამათა ცხოვრება მე-20 საუკუნისათვის არა სასიამოვნო და სასაცილოა.

მაგრამ ისტორია და ცხოვრება, როდია შერჩევის და საამო მოვლენათა ქსოვილ-ამბავი.

მის სიღრმეში ჩვენა ვხვდებით ყველა სურნელოვანებას და ყველა აფერადებას...

რაც ამ მომენტში არ ვარგა მაგრამ წარსულის სახება კია იმის დავიწყება როგორ შეიძლება?!

ფრანგებს ლუი მე-14 და მარიამ მედიჩის ბატონობის დროს შავი დღეები—წარღვნა უდგათ, მაგრამ განა მათ შეუძლიათ ამიტომ ლუი მეთორმეტის, ან ბართლომეს ღამის ავტორ ქალის დროინდელ ლიტერატურა-ისტორიის წაშლა!..

სულ სხვა საკითხია ჩვენ რომ გვისაყვედურონ ხეირიან და მომარჯვებულ ქართულ სახელმძღვანელოების უქონლობა.

ამას თავის ისტორიული მიზეზი აქვს...

ქართული სკოლა ახალგაზრდაა...

ახლო წარსულში შეძენილი ქართულ ენის სახელმძღვანელოები დროის ტენდენციურობით იწერებოდა, იშვიათად შეკვეცილი და ფრთა მოტეხილი იყო.

თავისუფალ საქართველოში თავისთავად ცხადია სწარმოებს გიგანტიური მუშაობა ენის სასწავლად ახალ წიგნების დაწერისათვის.

მაგრამ ღრმადა გვწამს, რომ არც ერთ მკვლევარს ფიქრად არ მოუვა ნაციონალ მწერლობის ძველი პერიოდი დამარხოს და საქართველოს ლიტერატურის მიწად სუფევა მხოლოდ მე-12 საუკუნიდან აათარიღოს...

ქალდეიდან მომდინარე იაფეტის ტომს მე-12 საუკუნის ზურგში მწყობ ასეულ წელთა სიგრძეებზეც სჭირია ცქერა და კვლევა-ძიება.

სასულიერო მწერლობის შეუსწავლელობა-გაუცნობლობა შუაში გასჩხდა ჩვენს ეროვნულ ლიტერატურულ შეცნაურებას.

მე-5 საუკუნეში ჩვენი სოციალ პოლიტიკური მყოფობა წმ. მამათ ხტივტივებდა ასპარეზზე, მათ დღიურ ქრონიკონში მშრომელ ხალხის რამბასაც წააწყდებით.

„წამებაი წმ. შუშანიკისა,
იოვანე საბანიძე,
ჰაბო თბილელი
გრიგოლ მერჩული,
და გიორგი მთაწმინდელი.

ეს მარგალიტებია ჩვენი წარსულისა, ქართული ენის შობისა და მისი დავაჟკაცებისა.

რუსის სკოლაში აღზრდილ ქართველ ინტელიგენტს რახან არ აქვს სისხლეულად განცდილი ზემო აღნიშნული „მარგალიტები“, ვერ ჩასწვდა მას და ამიტომ „პრობლემად“ გამოაცხადა, ისიც უსარგებლო პრობლემად.

გრიგოლ ხანძთელი, ეს პირველი ქართველი სახელმწიფო კრიტიკოსი... მოდით და დაივიწყეთ იგი!

მაშინ თვით ქართული ლიტერატურაც პრობლემად გამოცხადდებოდა...

ხვალ შეიძლება სხვა „მრჩევლებმა“ გვითხრან: დროა არქივში ჩადოთ მე-18 და მე-19 საუკ. და საქმე პირდაპირ მეოცე საუკუნიდან დავიწყოთო. არა მგონი ჩვენი სკოლა ამას დაეთანხმოს.

თუ სადმე დასაგმობია ნახტომები და „მანკიერობა“ პირველ ყოვლისა ლიტერატურაში, ადამიანის აზროვნების, შობა-განვითარებაში.

„La pensée humaine ne precédant jamais par sauts mais tougours par associations ამბობს ჟან ჟორესი...

დაუშვათ, ბევრი რამ არის ლეგენდარი ძველ საუკუნეთა ინტერვალებში, მაგრამ განა ეს აქრობს მათ ნიღაბ ახდის ინტერესს?!

უმჯობესია ჩვენ ვლაპარაკობდეთ სწავლების მეთოდზე.

დიალექტიურ საზომის აღიარებაზე.

მატერიალისტურ თვალთახედვის მიღებაზე.

რაც შეეხება ხალხურ პოეზიის სწავლების უკეთ მოწყობას, რომელსაც აგრეთვე გვირჩევს მოქ. ფ. შავგულისე.

ეს აბსოლუტური აუცილებლობაა.

ჩვენ ფართედ უნდა გადავშალოთ ხალხურ ნიჭის ნაყოფი.

ხალხურ შემოქმედების საიდუმლოებანი...

ეს ასეც იქმნება.

მხოლოდ ჩვენ გვჭირია, ვიჩქაროთ...

ახალი მეთოდები მივიღოთ და ახალი სასწავლო წიგნები დავსწეროთ.

მართალია ჩვენი დრო ფრიად ნერვიულია, ელექტრული, მექანიკური და წამებში საუკუნოები იმსხვრევიან...

თანდროული კაცობრიობა ჰაეროპლანის და ელექტრონის კულტურის დამკვიდრებას აპირებს.

რა თქმა უნდა, ასეთ სასწრაფო დროს, როცა ყოველი ნივთიერება ლამის არის მნთებარე ობიექტად გარდაიქც[illegible] მოსაწყენ[illegible] „ნაფტალინიდან“ ამოღებული [illegible] ამბავი...

მაგრამ „განა არ შეიძლება ამ [illegible] ამბის ელექტრულ ყაიდაზე გაცნობა...

შეიძლება და კიდეც მეტი.

აბა ის კაცი რა ქართული ლიტერატურის მცოდნე იქნება, რომელსაც არ გაუგონია ეფრემ მცირი, ე. პეტრიწონელი, ხანძთელი და სხვანი ბუმბერაზნი იმა ჟამისა!..

ქართულ ენის სწავლებისათვის აუცილებელია მეტი სიცოცხლიანობა!

მეტი გაქანება, მეტი მომზადება ვიდრე ეს ამ ჟამად არის!..

ვინატროთ, რომ ყველაფერი ეს სიჩქარით განამდვილდეს!..

ვისურვოთ, რომ, ჩვენმა თაობამ შესძლოს მე-V საუკუნის უკანაც თვალ ხილული ცქერა და არა მე-V საუკუნის ლიტერატურულ სხეულის მოკვეთა, რომელსაც ასე თამამად გვირჩევს მოქ. ფ. შავგულიძე!...

**ირ-დი.**

## პროვინციაში

### ახალციხის ამბები.

(წერილი მესხეთიდან)

**ბრძანების არ ასრულება.** 1921 წ. როგორც მახსოვს, მაისის თვეში გამოიცა პირველი ბრძანება (დეკრეტი) რითაც სახელმწიფო ენად აღიარებულ იქმნა ქართული ენა და აგრეთვე პასუხმგებელ თანამდებობაზე უნდა დანიშნულ ყოფილიყო სახელმწიფო ენის მცოდნენი.

ამის შემდეგ მრავალი დეკრეტები გამოიცა შინაგან სახალხო კომისარის მიერ სახელმწიფო ენის (ქართული ენის) შესახებ, რათა საბჭოთა დაწესებულებებში მიწერ-მოწერა წარმოებულიყო სახელმწიფო ენაზე.

შინაგან სახ. კომისარმა ა. წ. 5 ივლისის თარიღით ცირკულიარულად მიმართა ყველა სამაზრო, სამოქალაქო და ავტონომიური ერთეულთა აღმასკომების თავმჯდომარეებს ამავე სახ. ენის შესახებ, მაგრამ როგორც სჩანს ეს უკანასკნელი მიმართვათ დარჩა.

დღესაც მრავალია ისეთი დაწესებულება, სადაც გამეფებულია რუსული ენა.

ავიღოთ მაგალ. სასურსათო კომიტეტი „ლესკომი“ მიწის განყოფილება, ხაზინა, აღმასკომის საფინანსო განყოფილება, ტეხნიკური განყოფილება, საალმშენებლო განყოფილება და სხვა მრავალი, სადაც მიწერ-მოწერა უცხო ენაზე სრულდება, მიუხედავათ იმისა, რომ ზოგ დაწესებულებაში ერთის გამოკლებით ყველა ქართველია და ქართული ენაც კარგად იციან.

მაგალ. ხაზინაში თანამშრომლები ყველა ქართველია. ერთი სომეხია მთავარი ბუხჰალტერი, მაგრამ მაინც ყველაფერს რუსულ ენაზე აწარმოებენ.

საფინანსო განყოფილებაში ყველა ქართველია თანამშრომელი ერთის გარდა, მაგრამ აქაც დავთარხანა რუსულ ენაზე წარმოებს.

**ტანჯული მესხი.**

—

**სამტრედია.** ამ დღეებში ფოსტა-ტელეგრაფის ადმინისტრაციამ და მუშკომმა ცეკავშირის რწმუნებულის გერ. ნაფეტვარიძის ნებართვით ამავე ცეკავშირის განყოფილებიდან მიიღეს ნისიათ შაქარი, კალოშები და სხვა და სხვა საჭირო ნივთები, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მოსამსახურეებში.

— სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა სიმინდის და ყურძნის შესაგროვებლად, რომლებსაც კარგი მოსავლის პირი უჩანს. მიუხედავად ამისა მაჭარი ბოთლი 1,500,000 მან. ფასობს.

— ჩაქვის ხიდის შეკეთების გამო მოკლე ხნით შეწყვეტილია ფოსტის ვაგონების მიმოსვლა სამტრედია-ბათომ შუა. თფილისიდან მოსული ვაგონი ფოსტას სცვლის სამტრედიასთან.

—

**ტობანიერის ლიტერატურული წრის მუშაობა.** დიდი დარით დაგვიდგა ტობანიერის თემში 1923 წლის ზაფხული. ამ ზაფხულზე დაარსდა ლიტერატურული წრე, რომელმაც ღრმა კვალი დასტოვა ტობანიერის ახალგაზრდობაში. ამ საქმეში დიდი წილი უდევს ამხ. გრიშა შავგულიძეს. ეს წრე დაარსდა გრიშა შავგულიძის, სიმონიკა სუპატაშვილის, კოტე სულაბერიძის და სერგო მინაშვილის ინიციატორობით, წრეში ყოველ კვირა დღე იკითხებოდა ლექციები, გამოუშვეს ხელთნაწერი ჟურნალი, მარგალიტის საღამონი“, აგრეთვე მოაწყვეს ორხელ საჯარო გასამართლება, პირველად გაასამართლეს ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის გოგია უიშვილის გმირი „გოგია უიშვილი“. ჯერ წარმოადგინეს პიესა 3 სურათად, პიესა კარგად ჩატარდა. ბრალმდებელი იყო პროკლე ტაბიძე, დამცველი გრიშა შავგულიძე.

მეორეთ გაასამართლეს ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობის გმირი ქალი ელეონორა. ამ გასამართლების დროს დამცველი იყო გრიშა შავგულიძე, ბრალმდებელი ეკატერინა ფარცხალაძის ასული. უკანასკნელი კრება მოხდა სექტემბრის 10 ს. და ამ დღეს წრეც დაიშალა, რადგან წავიდ წამოვიდენ იქეთ-აქეთ მოწაფეობა. ვუსურვებ იმ ახალ-გაზრდობას მომავალში უფრო მეტ ენერგიულ მუშაობას.

**ან. მულუნელი.**

## ხელოვნება

### ტფილისის სახელმწიფო საოპერო თეატრი.

დრამატიულ სოპრანოს, მსახიობ ქალის პანკრატოვის და დრამატიულ ტენორის, მსახიობ მოსინის პირველი გამოსვლისათვის დადგმული იქმნა ძველი, მაგრამ კიდევ ბევრი დამფასებლის მყოლი, გომევის ოპერა „ურიის ქალი“.

ეს ოპერა დაიწერა თითქმის 100 წლის წინად, 1835 წ. და პირველად დაიდგა პარიზში, სადაც დიდი გამარჯვება ჰპოვა და სახელი მოუპოვა კომპოზიტორს. ოპერის მუსიკა უკვე მოძველებულია. ზოგიერთი ეპიზოდები, თანამედროვე კომპოზიციის მოთხოვნილებათა და საოპერო ფორმებთან შედარებით, მეტად პრიმიტიული და გულუბრყვილოა. მიუხედავათ ამისა „ურიის ქალის“ მუსიკა ერჩევა თავის სიცხადით და კონტრასტთა სიმკაცრით; ალაგ-ალაგ მუსიკა მეტად მელოდიურიც არის (მაგ. „დეციმეტი“ გუნდთან მე-2 მოქმედების დასაწყისში. რახილის არიოზო იმავე მოქმედებაში, დიდებული საბოლოო დუეტი პირველ მოქმედებაში, ელეონორის პოპულიარული არია და მე-3 მოქმედების ბოლო).

წარმოდგენამ, უმთავრესად, თუ მლად არა, ოპერის შემადგენლობაში ახლად მიწვეული მსახიობების, დრამატიულ სოპრანოს პანკრატოვისა და დრამატიულ ტენორის მოსინის მონაწილეობის გამო, მეტად კარგად ჩაიარა და მსმენელებში დიდი კმაყოფილებაც გამოიწვია.

მომღერალმა პანკრატოვამ საუკეთესო სახელი დაიმსახურა დამსწრეებში რახილის პარტიის შესრულებით.

ძლიერი, ელეროვანი და თანაბარი ყველა „რეგისტრებში“ ხმა, სასიამოვნო ტემბრით, მუსიკალობა, სცენიური გარეგნობა, დრამატიული ნიჭი, ტემპერამენტი—აი მსახიობის თვისებები. რახილის პარტია მთლად დასრულებულად უნდა ჩაითვალოს პანკრატოვის აღსრულებაში.

პანკრატოვის მშვენიერი „პარტნიორი“ იყო ელეოზარის პარტიის ამსრულებელი მსახიობი მოსიძე. მან მშვენიერი განსახიერება მოგვცა საშუალო საუკუნოების ამაყ, შურისმაძიებელ ურიისა და ვოკალური მხარეც საუკეთესოდ იქმნა შესრულებული. მისი ხმა, დრამატიული ტენორი, ისეთივე სასიამოვნოა, როგორც პანკრატოვისა. სანამეტნაოდ კარგია მაღალი „რეგისტრი“ ვიდრე მაღალ ნოტებამდე (si bemol და do). აქ მისი ხმა ჟღერს თავისუფლად და ნათლად მთელი “დიაპაზონის“ სიგრძეზედ. პოპულიარულმა არიამ ციხეში ხალხის აღტაცება გამოიწვია.

კარდინალ დე-ბრონიის პარტიას მღეროდა ისეცკი, რომელმაც, როგორც მუდამ, მოგვცა მხატვრული განსახიერება და პარტიის ვოკალური ნაწილიც მშვენივრად შეასრულა.

საუცხოვოდ დასძლია პრინც ლეოპოლდის ძნელი პარტია მომღერალმა ზავალოვმა. იგი უეჭველად სერიოზული და ნიჭიერი მომღერალია. ამ წარმოდგენაში მან გამოიჩინა ხმის განვითარებული ტეხნიკა, მუსიკალობა და ლამაზი ტემბრი.

მუსიკალურად ასრულებს პრინცესა ევდოკიას ეპიზოდიურ პარტიას მსახიობი ცაგარელი.

ოპერა დაკვირვებით არის დადგმული.

საორკესტრო ნაწილი გამოცდილ ხელმძღვანელის ივანე ფალიაშვილის ხელშია და ეს უკვე საკმარისად ღაღადებს მის დადებით მხარეებზედ.

**ვ. ბებუთიშვილი.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარი მართველობის მიერ № 725 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტერნის ქუჩ. № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა